# ფსიქოლოგის როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში

## სამართლებრივი ჩარჩო

ფსიქოლოგს მნიშნელოვანი ფუნქცია აქვს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში. ფსიქოლოგის მომსახურებით შეუძლია ისარგებლოს, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფმა არასრულწლოვანმა, ასევე არასრულწლოვანმა მოწმემ და დაზარალებულმა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, **ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და საპროცესო მოქმედების დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას**. ფსიქოლოგის ჩართულობა ხელს უწყობს მეორეული ვიქტიმიზაციის და ხელახალი ვიქტიმიზაციის პრევენციას, მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ბავშვისთვის მეგობრული გარემოს შექმნასა და მისი საუკეთესო ინტერესების დაცვაში.

ფსიქოლოგთან დაკავშირებული ჩანაწერი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში (ამკ) ზოგადი ხასიათისაა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სიტემაში არ არის დარეგულირებული ფსიქოლოგის უფლება - მოვალეობები და მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები[1], მიუხედევად იმისა, რომ კოდექსის 21-ე მუხლი მოიხსენიებს, რომ **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ფსიქოლოგი.**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, ასევე, არ არის დარეგულირებული თუ რა იგულისხმება „**არასრულწლოვნის საჭიროებების შეფასებას და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაში**“.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ფსიქოლოგის მონაწილეობაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანი საკითხია საიდან და როგორ უნდა მოხდეს ფსიქოლოგის მონაწილეობის უზრუნველყოფა, მათ შორის ფსიქოლოგის ანაზღაურების წესი.

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ფსიქოლოგის ჩართულობის მარეგულირებელი მუხლებია:**

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის **მუხლი 21-ის** მიხედვით: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს აგრეთვე **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ფსიქოლოგი.**

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის **მუხლი #23- ის მიხედვით** -

---

[1] *არსებობს მხოლოდ მთავრობის N688 დადგენილება „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“.*

მეორეული ვიქტიმიზაციისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად საპროცესო მოქმედებას, რომელშიც არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირი/მოწმე მონაწილეობს, მისი კანონიერი წარმომადგენელი ესწრება. არასრულწლოვან გამოსაკითხ პირს/მოწმეს უფლება აქვს, საპროცესო მოქმედების ჩატარებისას ჰყავდეს ადვოკატი. ამ კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვან გამოსაკითხ პირს/მოწმეს უფლება აქვს, ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საქმის სასამართლოში განხილვისას - მოსამართლის, ხოლო გამოძიების სტადიაზე - ბრალდების მხარის ინიციატივით, უზრუნველყოფილია საპროცესო მოქმედებაში ფსიქოლოგის მონაწილეობაც. **ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და საპროცესო მოქმედების დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.** (ამკ. მ.23, ნაწილი.1.)

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის **მუხლი 29 -განმარტავს** - არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, საქმის სასამართლოში განხილვისას - მოსამართლე, ხოლო გამოძიების სტადიაზე - ბრალდების მხარე უზრუნველყოფს არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებაში ფსიქოლოგის მონაწილეობას. **ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და საპროცესო მოქმედების დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას** (ამკ.მ.23, ნაწილი.2.)

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის **52-ე მუხლის მერვე ნაწილში** მითითებულია, რომ:
  საპროცესო მოქმედებას, რომელშიც არასრულწლოვანი დაზარალებული მონაწილეობს, მისი კანონიერი წარმომადგენელი და ადვოკატი ესწრებიან. საპროცესო მოქმედების განმახორციელებელი პირი, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს აგრეთვე საპროცესო მოქმედებაში ფსიქოლოგის მონაწილეობას. **ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და გამოკითხვის/დაკითხვის დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.** საპროცესო მოქმედებას, არასრულწლოვანი დაზარალებულის სურვილის შემთხვევაში, ესწრება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი (ამკ. მ.52, ნაწილი.8).

- არასრულწლოვნის გამოკითხვისას/დაკითხვისას საპროცესო მოქმედების განმახორციელებელი პირი, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ფსიქოლოგის მონაწილეობას. **ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და გამოკითხვის/დაკითხვის დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას** (ამკ. მ.52 ნაწილი 3).

- საპროცესო მოქმედებას, რომელშიც არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირი/მოწმე მონაწილეობს, მისი კანონიერი წარმომადგენელი ესწრება. არასრულწლოვან გამოსაკითხ პირს/მოწმეს უფლება აქვს, საპროცესო მოქმედების ჩატარებისას ჰყავდეს ადვოკატი. ამ **კოდექსის მე-15 მუხლის** პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვან გამოსაკითხ პირს/მოწმეს უფლება აქვს, ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით. საპროცესო მოქმედების განმახორციელებელი პირი, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს აგრეთვე საპროცესო მოქმედებაში ფსიქოლოგის მონაწილეობას. **ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და გამოკითხვის/დაკითხვის დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.** საპროცესო მოქმედებას, არასრულწლოვანი მოწმის სურვილის შემთხვევაში, ესწრება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი (ამკ. მ.52 ნაწილი.9).

## ზოგადი დებულებები და განმარტებები

სამართალწარმოების პროცესი შიშის შემცველი პროცესია კანონთან კონტაქტში მყოფი ყველა პირისთვის. ამ პროცესში ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს შეადგენენ, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვებს რომელთაც შეხება აქვთ სამართალწარმოების პროცესთან, უმრავლეს შემთხვევაში რთული სოციალური გამოცდილება გააჩნიათ. შესაბამისად, განსაკუთრებით სავარაუდოა, რომ დაზარალებული, მოწმე თუ ბრალდებული ბავშვი სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობით ემოციურად გადაიღლება და დაზარალდება.

პროფესიონალები, რომლებიც ბავშვის დაკითხვას/გამოკითხვას ატარებენ, რთული ამოცანების წინაშე დგანან. მათ, ერთი მხრივ, ბავშვისგან რაც შეიძლება სრული და სარწმუნო ინფორმაცია უნდა მოიპოვონ, ხოლო მეორე მხრივ, ყურადღებით უნდა იყვნენ, რათა „მეორე ჭრილობა“ არ მიაყენონ მას, როდესაც იგი ცხოვრებაში მომხდარი, მისთვის ემოციურად მტკივნეული ამბის შესახებ მოყოლას ცდილობს. ბავშვთა განსხვავებული საჭიროებებისა და შესაძლებლობების უგულებელყოფამ, შეიძლება სავალალო ეფექტი იქონიოს სამართლიანი სასამართლოს უფლებასა და მათ სამომავლო კეთილდღეობაზე.

მსხვერპლი ბავშვის, მოწმის ან ბრალდებულის საჭიროებების ზუსტი და დროული შეფასება აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისა და სამართლებრივ პროცესებში მათი ეფექტური მონაწილეობისთვის. საქართველოს კანონმდებლობა საშუალებას იძლევა, რომ ბავშვებს, რომლებიც მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან, ჰქონდეთ ფსიქოლოგის დახმარების შესაძლებლობა განსაკუთრებით გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში.

**საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების დროს, ფსიქოლოგის ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებით მნისვნელოვანი ტერმინებია:**

**სტრესი** - ზოგადად გამოხატავს ნეგატიურ კონცეპტს (მოვლენა ან სიტუაცია), რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბავშვის/ადამიანის მენტალურ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე. სტრესის სიმპტომები შერეული და ცვალებადია, შესაძლოა გამოიხატოს ცნობიერების შევიწროვებით, ყურადღების დაქვეითებით, დეზორიენტაციით და პანიკური შფოთვის დამახასიათებელი ნიშნებით. თუ სტრესი ძალიან ძლიერია, მან შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მეხსიერების აღდგენის უნარზე. სტრესის სიმპტომები სამართალწარმოების პროცესში ჩართულ თითქმის ყველა ბავშვთან გვხდება.

**ტრავმა** - მოვლენა ან სიტუაცია ქმნის ფსიქოლოგიურ ტრავმას მაშინ, როდესაც ის „წალეკავს" ინდივიდის/ბავშვის შესაძლებლობას - გაუმკლავდეს მას. ის ადამიანს/ბავშვს აღუძრავს შიშს, უმწეოს ხდის საფრთხის წინაშე, იწვევს ძლიერ შფოთვას, აგზნებას, პანიკურ შეტევებს, სუიციდურ მიდრეკილებებს და სხვა. ტრავმის სიმპტომები ხშირად აღენიშნებათ ბავშვებს, რომელთაც აქვთ სროლის, დაჭრის ან სექსუალური ხასიათის ტრავმული გამოცდილება ან გახდნენ ამგვარი ქმედებების მოწმენი[2]. ტრავმას, ისევე როგორც სტრესს, შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მეხსიერებაში არსებული ინფორმაციის აღდგენის უნარზე.

**ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევები** - ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევა განისაზღვრება, როგორც ცვლილებები ან მახასიათებლები აზროვნებაში, გრძნობებსა ან ქცევაში, რაც იწვევს დისკომფორტს ან არღვევს ადამიანის/ბავშვის ფუნქციონირების უნარს. ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევები ბავშვებში ზოგადად განისაზღვრება, როგორც ასაკის შესაბამისი აზროვნების, ქცევის, სოციალური ან ემოციების რეგულაციის უნარების განვითარების დაგვიანება ან შეფერხება, მაგ: ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD), განვითარების შეფერხება, ინტელექტუალური დეფიციტი, დასწავლის უნარის შეზღუდვა და ემოციური სფეროს დარღვევები, ანტისოციალურ პიროვნულ აშლილობას, აუტიზმის სპექტრის აშლილობა და სხვა. მნიშვნელოვანია სამართალწარმოების პროცესში ყურადღება მიექცეს ბავშვის ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევებს და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს შესაბამისი სპეციალისტის ჩართვა (სპეციალიზირებული ფსიქოლოგი, ფსიქიატრი), რათა მოვახერხოთ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა და პროცესში მათი ეფექტური მონაწილეობა.

---

[2] **კომენტარი**: ბავშვებს, რომელთაც აქვთ ტრავმის სიმპტომები, ესაჭიროებათ ჩალრმავებული შეფასება ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალის მიერ, რომელსაც აქვს სპეციალიზაცია ტრავმის მკურნალობაში. შეფასების პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგება, რომელიც მოიცავს ინტერვიუირებას, ქცევაზე დაკვირვებას, სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებას. შეფასების პროცესი, როგორც წესი მოიცავს ბავშვთან და მშობელთან რამდენიმე შეხვედრას.

**არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები** – არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.

**ბავშვის საჭიროებების შეფასება** - სამართალწარმოების პროცესში ბავშვის საჭიროებების შეფასება გულისხმობს ბავშვის სოციალური საჭიროებების და ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და გაანალიზებას, რაც მნიშვნელოვანია ინტერვენციების ისეთი სტრატეგიის დასაგეგმად, რომელიც უზრუნველყოფს სამართალწარმოების პროცესებში ბავშვის ეფექტურ მონაწილეობას, მისი მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციის პრევენციას, უსაფრთხოების და კეთილდღეობის უზრუნველყოფას და ზოგადად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ბავშვის საჭიროებების შეფასება წარმოადგენს სისტემურ პროცესს, რაც მულტისექტორული და მულტიდისციპლინარული მიდგომებით ხორციელდება, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტებიც მოიაზრებიან - მაგ. ფსიქოლოგი, ფსიქიატრი.

**ფსიქოლოგის მიერ ბავშვის საჭიროებების შეფასება** გულისხმობს ბავშვთან და მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაუბრებით და ბავშვის ქცევაზე დაკვირვებით, ბავშვის ზოგადი განვითარების, ფსიქოლოგიური მდგომარეობის და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას. ფსიქოლოგის მიერ ბავშვის საჭიროებების შეფასების პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგება, საჭიროებს ბავშვთან და მშობელთან რამდენიმე შეხვედრას და სხვადსხვა ინსტრუმენტების გამოყენებას. ამ დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, ფსიქოლოგის მიერ ბავშვის საჭიროების შეფასება არ ატარებს კლინიკური ფსიქოლოგიური შეფასების ხასიათს და ფოკუსირებულია ბავშვის საუკეთესო ინტერსებიდან გამომდინარე საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე.

**ფსიქოლოგიური მხარდაჭერა -** ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის პროცესის დროს ფსიქოლოგიური მხარდაჭერა გულისხმობს ბავშვის მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციას და ბავშვში ტრავმისა და სტრესის სიმპტომების გამძაფრების შემთხვევაში, სიმპტომების მართვას შესაბამისი ტექნიკების გამოყენებით.

**მეორეული ვიქტიმიზაცია** - არასრულწლოვანი დაზარალებულის, არასრულწლოვანი მოწმისა და ბრალდებულისთვის შესაძლო ზიანის მიყენება მისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის შედეგად. მეორეული ვიქტიმიზაცია შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ფსიქოლოგიურმა, ისე ფიზიკურმა ზემოქმედებამ.

**ხელახალი ვიქტიმიზაცია** - არასრულწლოვანი დაზარალებულისთვის ზიანის მიყენება ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის შედეგად. ბავშვის ხელახალი

ვიქტიმიზაცია მომხდარი მოვლენის გახსენებამაც შეიძლება გამოიწვიოს და გაამწვავოს ტრავმისა და სტრესის ნიშნები.

**მოწყვლადი ჯგუფები** - იგულისხმება ბავშვები, რომლებიც განსაკუთრებულ მიდგომას, ზრუნვას საჭიროებენ, გამომდინარე მათი სოციალური გამოცდილების, ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობიდან. არსებობს რისკი, რომ გამოძიების პროცესმა მათში ტრავმისა და სტრესის სიმპტომები გააძლიეროს. შესაბამისად, სასურველია ამ ჯგუფის ბავშვებთა გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მოწყვლად ჯგუფებს მიეკუთვნებიან:

1. ბავშვები რომლებიც გახდნენ **გარყვნილი ქმედების, სექსუალური ძალადობის, პორნოგრაფიული დანაშაულის, სექსუალური ექსპლოატაციის მსხვერპლნი და/ან ამგვარი ქმედებების მოწმეები;** ამ ჯგუფის ბავშვების მეორეული ვიქტიმიზაცია, თავს გადახდენილი მოვლენის გახსენებამაც შეიძლება გამოიწვიოს და გაამწვავოს ტრავმისა და სტრესის ნიშნები.
2. ბავშვები, რომლებმაც ბრალი ედებათ სხვა ბავშვის/ზრდასრულის მიმართ **გარყვნილი ქმედებასა და სექსუალურ ძალადობაში, ან ჩართულები იყვნენ ბავშვთა/ზრდასრულთა სექსუალური ექსპლოატაციის პროცესში და/ან გახდნენ ამგვარი ქმედებების მოწმეები.** კვლევები ადასტურებენ, რომ ბავშვებს, რომლებიც სექსუალური ხასიათის დანაშაულს ჩადიან, ხშირ შემთხვევებში აქვთ ფიზიკური და სექსუალური ძალადობის გამოცდილება და სხვებისთვის ზიანის მიყენება საკუთარი ძალადობრივი გამოცდილების შედეგია.
3. ბავშვები, რომლებიც გახდნენ **მკვლელობის, თვითმკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების, სქესობრივი დანაშაულების** მოწმე ან მსხვერპლნი, ან ბრალი ედებათ ამ ტიპის დანაშაულის ჩადენაში;
4. **ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების** მქონე ბავშვები;
5. **შეზღუდული შესაძლებლობის** მქონე ბავშვები;
6. ბავშვები ოჯახებიდან, რომლებსაც ყავთ **ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე წევრებ**ი;
7. ბავშვები **დისფუნქციური ოჯახებიდან** (მაგ. ოჯახის წევრი/წევრები, რომელებიც ჭარბად მოიხმარენ ალკოჰოლს და/ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს); არიან ისეთი ოჯახიდან, რომელთა წევრი/წევრები **კანონთან კონფლიქტშია** და/ან **იმყოფებიან პატიმრობაში;**
8. **ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები;**

**ბავშვის ასაკი და მოწყვლადობა**[3] - რთულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ბავშვის მოწყვლადობის დაკავშირება ბავშვის ასაკთან. მართალია, რაც უფრო მცირეა ბავშვის ასაკი (მაგ. 3,5 - 6 წელი), მით უფრო სპეციფიურია მათთან კომუნიკაცია, დაკითხვა/გამოკითხვის წარმოება, თუმცა ასევე მგრძნობიარეა მოზარდობის ასაკიც, განსაკუთრებით კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში. ფსიქოლოგის ჩართვასთან გადაწყვეტილების მიღებისას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ფსიქო-სოციალურ სტატუსს, მის ფსიქიკურ ჯანმრთელობას, წარსულ გამოცდილებას, მდგომარეობას ოჯახში და სხვა.

## ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში ჩართული ფსიქოლოგის კომპეტენცია

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, **ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და საპროცესო მოქმედების დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას**.

პრაქტიკიდან, და ხშირად, გამოძიების და/ან ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში ჩართულ ფსიქოლოგს აქვს ლიმიტირებული დრო, არა შესაფერისი სამუშაო გარემო, რომ მან სრულად შეაფასოს ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს (ასევე ბავშვებს და მშობლებს) უნდა ჰქონდეთ რეალური მოლოდინები სამართალწარმოების პროცესში ჩართული ფსიქოლოგის შესაძლებლობების და უფლებამოსილებების შესახებ.

ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგის როლი და შესაძლებლობები განსხვავდება კლინიკური ფსიქოლოგის როლისა და შესაძლებლობებისგან, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგს უნდა ჰქონდეს კლინიკური ფსიქოლოგიის ცოდნა და გამოცდილება.

ფსიქოლოგი, რომელიც უკვე მუშაობს ბავშვთან, როგორც ფსიქოთერაპევტი, არ შეიძლება ჩართული იყოს დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში;

[3] ძირითადი წყაროა Advancing the Defence Rights of Children – Manual for Practitioners

ფსიქოლოგს, რომელიც ერთვება დაკითხვა/გამოკითხვის (ან სხვა საპროცესო მოქმედებაში), უნდა ჰქონდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ბავშვისა და სხვა მონაწილე პირების უფლება-მოვალეობების შესახებ ცოდნა.

## ფსიქოლოგის საქმიანობა პროცესში (გამოკითხვა ან სხვა საპროცესო მოქმედება)

**ფსიქოლოგის უფლება-მოვალეობები ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვამდე.**

**ა). ბავშვის საჭიროებების შეფასება:**

- **ფსიქოლოგის მიერ ბავშვის საჭიროების შეფასება გულისხმობს** ბავშვთან, მშობელთან, საპროცესო წარმომადგენელთან გასაუბრებით, ბავშვის ქცევაზე დაკვირვებით და გამომძიებლის მიერ ბავშვის შესახებ მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით, წარმოდგენების შეექმნას ბავშვთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებზე (ბავშვის საჭიროებებზე):
  - ბავშვის ზოგადი განვითარება - მინიმალური ნიშნები, რომლებიც ასაკის მიხედვით ბავშვის განვითარების სურათს იძლევა.
  - ფსიქოლოგიური მდგომარეობა - სტრესისა და ტრავმის ნიშნების არსებობა;
  - ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელების პრობლემი - ბავშვისგან, მშობლისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან მიღებულ ინფორმაციაზე (ანამნეზი) დაყრდნობით;

- ფსიქოლოგის მიერ ბავშვის საჭიროების შეფასება ტარდება საგამოძიებო დაკითხვა/გამოკითხვის დაწყებამდე, რისთვისაც მას უნდა მიეცეს **გონივრული დრო**, არაუმეტეს 1 საათისა.

- **ბავშვთან გასაუბრება უნდა ჩატარდეს მშვიდ და მეგობრულ გარემოში,** სადაც შეძლებისდაგვარად უნდა გამოირიცხოს გარე გამღიზიანებელი და ხელისშემშლელი ფაქტორები (მაგალითად, სხვა პირების დასწრება, ან სხვა პირები შესვლა იმ სივრცეში, სადაც ხდება გამოკითხვა; ხმაური, შემომავალი სატელეფონო ზარები და სხვა).

- **ფსიქოლოგმა ბავშვს და მშობელს უნდა გააცნოს თავი,** აუხსნას საკუთარი როლი და განუმარტოს თუ რას ელოდება იგი ბავშვისგან და რა ტიპის დახმარების გაწევა შეუძლია მას ბავშვისთვის.

- **ჩვენებაზე, მოვლენის ინტერპრეტაციაზე გავლენის ასაცილებლად,** ფსიქოლოგი უნდა მოერიდოს გადატანილი ინციდენტის დეტალების განხილვას. ფოკუსი კეთდება ბავშვის აქტუალურ ფსიქო - ემოციურ მდგომარეობაზე;

**ბ) დასკვნის მომზადება:** ფსიქოლოგი, ბავშვის საჭიროების შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ, ამზადებს წერილობით დასკვნას, სადაც აღწერს

- ბავშვის ზოგად განვითარებას;
- ბავშვის იმჟამინდელ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას;
- ინფორმაციას ბავშვის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ;
- აყალიბებს ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე  რეკომენდაციებს.

**გ) მონაწილეობა გამოკითხვა/დაკითხვის დაგეგმვის პროცესში:**

- ფსიქოლოგი მონაწილეობს დაკითხვა/გამოკითხვის დაგეგმვის პროცესში. რეკომენდირებულია, რომ მის მიერ ბავშვის საჭიროებების შეფასების შედეგები გათვალისწინებულ იქნეს  დაკითხვა/გამოკითხვის დაგეგმვის პროცესში. მაგალითად:
  - რეკომენდირებულია თუ არა ბავშვის გამოკითხვა არსებული ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით;
  - კითხვების ფორმულირების პრინციპები ბავშვის განვითარების დონისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით;
  - გამოკითხვის ჩატარების დრო,
  - დაკითხვა/გამოკითხვის სივრცე/ადგილი,
  - მშობლის დასწრება/არ დასწრების შესახებ,
  - სხვა სპეციალისტის ჩართვის საჭიროება,
  - ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგსა და გამომძიებელს შორის კომუნიკაციის წესები,
  - და სხვა.

- გამომძიებლის გადაწყვეტილებით, ფსიქოლოგი შესაძლებელია ჩაერთოს ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში, რაც გულისხმობს გამოძიებისთვის საჭირო ინფორმაციის  მოსაპოვებლად, ბავშვისთვის  გარკვეული კითხვების დასმას  ბავშვზე მორგებული ფორმით. კითხვის შინაარსს განსაზღვრავს გამომძიებელი. სასურველია მსგავსი გადაწყვეტილება მიღებული იქნას დაკითხვა/გამოკითხვის პროცესის დაწყებამდე.

- ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში ჩართული ფსიქოლოგის კომპეტენციას არ წარმოადგენს შეაფასოს, თუ რამდენად სიმართლე ან ტყუილია დაკითხვა/გამოკითხვის დროს  ბავშვის მიერ გადმოცემული ინფორმაცია.

**დ). ფსიქოლოგი ბავშვს ამზადებს დაკითხვა/გამოკითხვის პროცესისთვის,** რაც მოიცავს ბავშვის დამშვიდებას/საჭიროების შემთხევაში სტრესის სიმპტომების მოხსნას; იმის ახსნას, თუ ტიპის დახმარების გაწევა შეუძლია მას ბავშვისთვის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში და ფსიქოლოგსა ბავშვს შორის ურთიერთ კომუნიკაციის წესებზე შეთანხმებას.

**ე) ფსიქოლოგის როლი ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის პროცესის დროს - ფსიქოლოგიური მხარდაჭერა**

- **ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის პროცესის დროს ფსიქოლოგიური მხარდაჭერა გულისხმობს**
  - ბავშვის მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციას და
  - ბავშვში ტრავმისა და სტრესის სიმპტომების გამძაფრების შემთხვევაში, სიმპტომების მოხსნა კრიზისის მართვის ტექნიკების გამოყენებით (მაგ. პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების მეთოდის გამოყენება);

- ფსიქოლოგი აკვირდება გამოკითხვა/დაკითხვის პროცესს და აფასებს თუ რამდენად ბავშვზე მორგებულ გარემოსა და მეთოდით მიმდინარეობს ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესი;

- ფსიქოლოგი შესაძლებელია ჩაერთოს ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში, რაც გულისხმობს გამოძიებისთვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად, ბავშვისთვის გარკვეული კითხვების დასმას ბავშვზე მორგებული ფორმით.

- ფსიქოლოგს შეუძლია ითხოვოს პროცესის შეჩერება, თუ ფიქრობს, რომ პროცესი ბავშვისთვის არამეგობრულ გარემოში მიმდინარეობს, შეიმჩნევა ფსიქოლოგიური (ან ფიზიკური) ზეწოლა ან ადგილი აქვს ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გართულებას.

- ფსიქოლოგი აკვირდება ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, სტრესისა და ტრავმის ნიშნების გამწვავების (დამძიმების) შემთხვევაში ახორციელებს ბავშვის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას კრიზისის მართვის ტექნიკების გამოყენებით;

**ვ).ბავშვთან დამშვიდობება:** ბავშვის გამოკითხვის/დაკითხვა დასრულების შემდეგ, ფსიქოლოგს ეძლევა გონივრული დრო ბავშვთან დამშვიდობებისთვის. დამშვიდობების პროცესს შეიძლება დაესწროს ბავშვის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი (ან საპროცესო წარმომადგენელი) და ადვოკატი.

**ზ). დასკვნის მომზადება** - ფსიქოლოგი გამოკითხვა/დაკითხვის პროცესის დასრულებისთანავე ამზადებს დასკვნას, სადაც აღწერს დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, დაკითხვა/გამოკითხვის პროცესს (წარიმართა თუ არა ბავშვისთვის მეგობრულ გარემოში, ბავშვისთვის გასაგები ენით, ჰქონდა თუ არა ადგილი ფსიქოლოგიურ ან სხვა სახის ზეწოლას, მიეცა თუ არა ბავშვს შესაძლებლობა თავისუფლად გამოეხატა თავისი მოსაზრება და ა.შ), გათვალისწინებული იქნა თუ არა ფსიქოლოგის რეკომენდაციები და სხვა.

## გამოძიების ეტაპზე გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის პროცედურა

1. გამომძიებელი უზრუნველყოფს **არასრულწლოვანისადმი გარყვნილი ქმედების, პორნოგრაფიული დანაშაულის, სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობის საქმეში არასრულწლოვანი** მოწმის, მსხვერპლის და ბრალდებულის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობას გამოკითხვა/ დაკითხვის დაწყებამდე.

2. გამომძიებელი უზრუნველყოფს **მკვლელობის, თვითმკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების** საქმეში არასრულწლოვანი მსხვერპლის, ბრალდებულის, მოწმის გამოკითხვის/დაკითხვა პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობას ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვის დაწყებამდე.

3. პუნქტ 1 და 2-ში მოხსენიებული გარემოებების გარდა, გამომძიებელი გადაწყვეტილებას ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ იღებს ბავშვის მოწყვლადობის გათვალისწინებით და შინაგანი რწმენით, გამოკითხვა/ დაკითხვის დაწყებამდე.

4. ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროება შეიძლება გამოვლინდეს გამოკითხვა/დაკითხვის პროცესის დაწყების შემდეგაც, თუ გამოვლინდა ტრავმისა და სტრესის ძლიერი ნიშნები.[4] ამ შემთხვევაში სასურველია გადაიდოს დაკითხვა/გამოკითხვის პროცესი და გამომძიებელმა მოითხოვოს პროცესში ფსიქოლოგის ჩართვა.

---

[4] გამომძიებლები უნდა ფლობდნენ ტრავმისა და სტრესის სიმპტომების იდენტიფიცირების და სტრესის დროს პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების ტექნიკებს.

5. გამომძიებელი აცნობებს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (ან საპროცესო წარმომადგენელს), ბავშვის ადვოკატს, პროკურორს ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის გადაწყვეტილების შესახებ.
6. გამომძიებელი, ბავშვის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესზე ფსიქოლოგის მიწვევისას, ფსიქოლოგს აწვდის საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის ინფორმაციას შემთხვევის შესახებ, ბავშვის დემოგრაფიული, სოციალური, ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის შესახებ. ასევე, აცნობებს ინფორმაციას პროცესის ჩატარების დროისა და ადგილის თაობაზე.

7. ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვის ჩატარებამდე ფსიქოლოგს ეძლევა გონივრული დრო ბავშვის საჭიროებების შესაფასებლად (არაუმეტეს 1 საათისა);

8. ფსიქოლოგის მიერ ბავშვის საჭიროების შეფასება უნდა ჩატარდეს მშვიდ და მეგობრულ გარემოში, სადაც შეძლებისდაგვარად უნდა გამოირიცხოს გარე გამღიზიანებელი და ხელისშემშლელი ფაქტორები (მაგალითად, სხვა პირების დასწრება, ან სხვა პირები შესვლა იმ სივრცეში, სადაც ხდება გამოკითხვა; ხმაური, შემომავალი სატელეფონო ზარები და სხვა).

9. ფსიქოლოგის მიერ ბავშვის საჭიროებების შეფასების პროცესს შესაძლოა არ დაესწროს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ან საპროცესო წარმომადგენელი თუ ამას მოითხოვს ბავშვი.

10. ფსიქოლოგი, ბავშვის საჭიროების შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ, ამზადებს წერილობით დასკვნას, სადაც აღწერს
    - ბავშვის ზოგადი განვითარებას;
    - ბავშვის იმჟამინდელ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას;
    - ინფორმაციას ბავშვის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ;
    - აყალიბებს ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე რეკომენდაციებს.

11. ფსიქოლოგი ბავშვის საჭიროებების შეფასების შედეგებს აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ან საპროცესო წარმომადგენელს, ადვოკატს და გამომძიებელს.

12. ფსიქოლოგი ბავშვს ამზადებს დაკითხვა/გამოკითხვის პროცესისთვის, რაც მოიცავს
    - ბავშვის დამშვიდებას/საჭიროების შემთხევაში სტრესის სიმპტომების მოხსნას;
    - იმის ახსნას, თუ ტიპის დახმარების გაწევა შეუძლია მას ბავშვისთვის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში
    - და ფსიქოლოგსა ბავშვს შორის ურთიერთ კომუნიკაციის წესებზე შეთანხმებას.

13. გამომძიებელი იღებს გადაწყვეტილებას დაკითხვა/გამოკითხვის დაწყების თაობაზე ფსიქოლოგის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

14. გამომძიებელი ფსიქოლოგს რთავს დაკითხვა/გამოკითხვის დაგეგმვის პროცესში და ითვალისწინებს ბავშვის საჭიროებების შეფასების შედეგებს. მაგალითად:

- რეკომენდირებულია თუ არა ბავშვის გამოკითხვა არსებული ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით;
- კითხვების ფორმულირების პრინციპები ბავშვის განვითარების დონისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით;
- ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგსა და გამომძიებელს შორის კომუნიკაციის წესები,
- გამოკითხვის ჩატარების დრო,
- დაკითხვა/გამოკითხვის სივრცე/ადგილი,
- რეკომენდაცია მშობლის დასწრება/არ დასწრების შესახებ,
- სხვა სპეციალისტის ჩართვის საჭიროება,
- და სხვა.

15. გამომძიებლის გადაწყვეტილებით, ფსიქოლოგი შესაძლებელია ჩაერთოს ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში, რაც გულისხმობს გამოძიებისთვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად, ბავშვისთვის გარკვეული კითხვების დასმას ბავშვზე მორგებული ფორმით. კითხვის შინაარსს განსაზღვრავს გამომძიებელი. როლების განაწილების შესახებ შეთანხმება უნდა მოხდეს დაკითხვა/გამოკითხვის დაგეგმარების პროცესის დროს.

16. ფსიქოლოგი აკვირდება გამოკითხვა/დაკითხვის პროცესს და აფასებს თუ რამდენად ბავშვზე მორგებულ გარემოსა და მეთოდით მიმდინარეობს ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესი;

17. ფსიქოლოგს შეუძლია მოითხოვოს პროცესის შეჩერება, თუ ფიქრობს, რომ პროცესი ბავშვისთვის არამეგობრულ გარემოში მიმდინარეობს, შეიმჩნევა ფსიქოლოგიური ან ფიზიკური) ზეწოლა ან ადგილი აქვს ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გართულებას.

18. ფსიქოლოგი აკვირდება ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, სტრესისა და ტრავმის ნიშნების გამწვავების (დამძიმების) შემთხვევაში ახორციელებს ბავშვის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას კრიზისის მართვის ტექნიკების გამოყენებით;

19. ფსიქოლოგი, გამომძიებელთან შეთანხმებით, შესაძლებელია ჩაერთოს ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში, რაც გულისხმობს გამოძიებისთვის საჭირო

ინფორმაციის მოსაპოვებლად, ბავშვისთვის გარკვეული კითხვების დასმას ბავშვზე მორგებული ფორმით.

**20.** ბავშვის გამოკითხვის/დაკითხვა დასრულების შემდეგ, ფსიქოლოგს ეძლევა გონივრული დრო ბავშვთან უკუკავშირის და დამშვიდობებისთვის; დამშვიდობების სესიას შეიძლება დაესწროს ბავშვის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი (ან საპროცესო წარმომადგენელი) და ადვოკატი.

**21.** ფსიქოლოგი გამოკითხვა/დაკითხვის პროცესის დასრულების შემდეგ ამზადებს დასკვნას, სადაც აღწერს დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, დაკითხვა/გამოკითხვის პროცესს (წარიმართა თუ არა ბავშვისთვის მეგობრულ გარემოში, ბავშვისთვის გასაგები ენით, ჰქონდა თუ არა ადგილი ფსიქოლოგიურ ან სხვა სახის ზეწოლას, მიეცა თუ არა ბავშვს შესაძლებლობა თავისუფლად გამოეხატა თავისი მოსაზრება და ა.შ), გათვალისწინებული იქნა თუ არა ფსიქოლოგის რეკომენდაციები და სხვა.

**22.** სამართალწარმოების პროცესის განმავლობაში მაქსიმალურად უნდა იქნას უზრუნველყოფილი ბავშვისა და ფსიქოლოგს შორის ურთიერთობის უწყვეტობა, რაც ნიშნავს, რომ ფსიქოლოგი, რომელიც ერთვება გამოძიების ეტაპზე, უნდა მონაწილეობდეს ბავშვის სასამართლო პროცესზე დაკითხვის დროსაც.

**23.** ბავშვს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ან საპროცესო წარმომადგენელს და ადვოკატს უფლება აქვს უარი თქვას გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობაზე ან მოითხოვოს მისი შეცვლა.